საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 21
ოთხშაბათი, სექტემბრის 14
1921 წ.

კვირას, სექტემბრის 18 ს დილის 10 საათზე საქართველოს მხედართა ძმათა სასაფლაოზე (რუსთაველის პრ. სამხედრო სობორი) გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი საქართველოს თავდადებულ მხედართა სულის მოსახსენებლად. მწირველია მისი უწმინდესობა სრულიად საქართველოს

კათალიკოს-პატრიარქი

**ამბროსი**

## ტრიბუნიდან

16.

ერები და ისტორიის სამართალი.

თუ ერის ყველა ძალა იმანენტურად ემსახურება ერის არსებობის განმტკიცებას, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველი ძალა ამ მიზნის განხორციელებაში ხელმძღვანელის როლს თამაშობს. ერის ხელმძღვანელობისათვის ვოლუნტარიზმი არ კმარა, საჭიროა ისტორიის ობიექტიური პროცესის ალღოს აღება, სინამდვილის გაგება და ამ პროცესის მიხედვით ეროვნული საქმის კეთება. უკეთილშობილესი განზრახვებით შეიძლება იყოთ აღჭურვილი ერისათვის, მაგრამ ერს სისტემატიურად ავნოთ ცხოვრებასთან შეურიგებელი პოლიტიკის წარმოებით. ამიტომაა ერის ცხოვრებაში მომქმედი ძალები სხვა და სხვა დასებად ირაზმებიან, ერთი ახერხებს ისტორიულ პროცესის მეცნიერულად გაგებას, იმუშავებს რეალურ სამოქმედო გეგმას და ისტორიის პროცესს ფაქტიურად ხელმძღვანელობს, მეორე—გახევებულია ფანატიკურ ილიუზიაში, ძველი კერპები იპოვნიან, ახალს ვერ ურიგდებიან და ფაქტიურად ასრულებენ ისტორიაში მაჩანჩალას როლს, პოლიტიკურად რეაქციულ ზრახვებს ემსახურებიან.

გერმანელ ფილოსოფოსს ერთი შესანიშნავი ფორმულა ეკუთვნის—„ყოველი არსებული—გონიერია", კონკრეტიულად ეს ფორმულა რეტროგრადიული იყო გერმანიისათვის, მაგრამ ისტორიულად შიგ უეჭველად ბევრი გონიერებაა. ყოვლად შეუძლებელია რუსეთის რევოლუციის ისტორიული ტალღები თქვენ ახსნათ რაიმე მექანიკური წესებით, უბრალო ვოლუნტარიზმით, ან კიდევ მეტად ლენინის და ტროცკის ფანტასტიურ პლანების ნიმუშად. ისტორიულად, რუსეთის რევოლუციის არსებობაში მეტად დიდი გონიერებაა, აქ მთელი რიგი მიზეზობრივი პირობაა შეკუმშული ერთს მთელში და ასე მოქმედობს სინამდვილეში.

ეს პირობები წარმოშვა თანამედროვე ზეკაპიტალიზმის არსებობამ, რომლის კანი, ზედაპირი დამსკდარია, საიდანაც უნდა წარმოიშვას—სულ ერთია ადვილად და ტანჯვა-წვალებით—ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა.

1789 წლის შემდეგ კაცობრიობას არ მოსწრებია თანამედროვე რუსეთის რევოლუციის მასშტაბის რევოლუცია. ჩვენ მხოლოდ ორი დიდი რევოლუცია ვიცით ხანგრძლივი, სასტიკი, რადიკალური,—ეს რევოლუცია 1789 წლისა და 1917 წლისა. პირველმა მოგვცა მსოფლიოში კაპიტალისტური კულტურა, მეორე გვაძლევს სოციალისტურ კულტურას, პირველი იშვა ტანჯვით, წვალებით, განადგურებით, ღვრით და ვაებით, მეორეც იბადება ტანჯვით, წვალებით, განადგურებით და ვაებით. როგორც ჩანს ისტორიული ცვლილებები არ ხდებიან ადვილად, დიდი ამბები დიდ რყევას და თმენას მოითხოვს.

ამ ხანაში ვართ ჩვენ, ქართველები. ჩვენ ერთი რწმენა გვაქვს ურყევლად, ეს რწმენა უნდა იყოს ყველა პოლიტიკოსისა, რომლისათვის ისტორია რობინზონის კუნძული არ არის: ერი იმდენად აღწევს თავის მიზანს, რამდენადაც ის ისტორიის ფერხულს მიჰყვება, რამდენადაც ერის ძალები ახერხებენ ისტორიულ პროცესის გაგებას. ხშირად ისტორიულ პროცესის გაგება ისეთსავე ტანჯვას იწვევს, როგორც თვითონ ისტორია, მაგრამ ჭეშმარიტი ისტორიული სამართალი გაცილებით პროგრესიულია ქვეყნისათვის, ვიდრე მეტად პოპულარული რაიმე დებულება უშინაარსო და უნიადაგო. უტოპია ყველა მოძღვრება ზე ლამაზია, მაგრამ არსებითად უშინაარსო და მავნებელი, ჩვენ ფორმებს და იმას კი ვერ გავსდევთ თუ ვის რა მოსწონს, რა სიმღერას გამოიწვევს, არამედ რაა სინამდვილეში და რეალურ ცხოვრებაში შევეგუოთ თუნდაც იქ მოგვიწიოს ცრემლების ფრქვევით სიარული. ასე ვუყურებთ ჩვენ ჩვენს პოლიტიკას და ისტორიის სამართალს.

ჩვენი „იდეოლოგია"—საქართველოს თავისუფლებაა, მაგრამ რაკი ამ თავისუფლების საფუძველი და პირობა სოციალისტური რევოლუციაა—ჩვენ ქართველ ხალხს რევოლუციისაკენ მოვუწოდებთ. არავითარი კავშირი ამ შემთხვევაში ბოლშევიზმთან, როგორც ასეთთან, არ არსებობს. თანამედროვე რევოლუცია რომ გერმანიაში ამოვარდნილიყო, ჩვენ გერმანიისაკენ გავიხედავდით, ჩვენთვის რუსეთი კი არ არსებობს ალექსანდრეებით, ნიკოლოზებით და პავლეებით, არამედ რუსეთის რევოლუცია. რევოლუცია იმდენად რუსულია, რამდენადაც ფრანგული, ქართული, ინგლისური და გერმანული. რევოლუცია ყველასია და რევოლუციის ორიენტაცია სხვის თავზე ორიენტაცია კი არ არის, საკუთარი თავის ორიენტაციაა. მართალია, ამ რევოლუციაში ხან და ხან პოლყვავებით თავს წამოყოფენ ხოლმე პავლეების, ნიკოლოზების და სხ. აჩრდილები, წამოყოფენ ხშირად გაბედულად, მაგრამ მათ ჩვენ ვებრძვით სისტემატიურად და აუცილებლივ მოვსპობთ. ამ ნაფლეტებს რევოლუცია სწმენდს თან და თანობით.

რევოლუციის ამ იხვეულ მოხვეულებიასეთი თუ ისეთი ფერები ჩვენ არ გვაშინებს. რევოლუცია არსებითად დადებითია არსებითად პროგრესიული, არსებითად, კულტურულია. გადააგდეთ მისი ფორმები, დაივიწყეთ ტალღები, შინაარსია მთავარი, იგი ნიადაგია გაფურჩქვნის, აყვავების. რამდენად სასტიკია რევოლუცია იმდენად წყნარია შემდგომი ხანა, ამ სოციალურ სტიქიაში იგივე პროცესია, რაც ბიო-ფიზიკურ მოვლენაში და აქ ისევე გამოვნახავდით იგივეობას და განვითარებას, როგორც ერნსტ მახის თეორიაში ვხედავთ დარვინიზმის განვითარებას.

საქართველოს სიცოცხლე ჩვენ სავსებით დავუკავშირეთ რევოლუციას. საქართველოს თავისუფლება რევოლუციის გარეშე—ოცნებაა. მთელი ჩვენი კავშირი სხვა და სხვა ძალებთან უნდა იყოს აგებული არა ისტორიულ მოგონებათა ნიადაგზე, არამედ დღეს მომქმედ ისეთ ძალებთან, რომელთაც ისტორია სახვალიო ისტორიაა. პატივი ეცით წარსულებს და წარსასვლელებს, მაგრამ ჩვენ ახალ ძალებთან უნდა დავიჭიროთ საქმეები, ახალ ელემენტებთან, რომელთანაც გინდა არ გინდა მოგვიხდება საქმის დაჭერა. ანტანტა ჩვენთვის დამყაყებული ბებერია, ყელამდე უკვე სამარეში ჩაფლული. ვინც იმას ფიქრობს, რომ ანტანტაზე რეაქციური კიდევ სხვა რომელიმე ძალაა ევროპაში, ის [illegible] სულელთა სამეფოში. მილერანს და ლოიდ ჯორჯს სრულებით ვერ გააფერადებენ სოციალისტური და დემოკრატიული მანტიები, რომლებსაც ამას წინად ატარებდნენ. რეაქციის სამსახურისათვის დღეს ჰერცოგის და გრაფის ხარისხები კი არის საჭირო, პატარა ვაჭრის შვილიც და საშუალო შეძლების გლეხის შემკვიდრეც გამოდგება ამ საქმისათვის.

ნურავის ავიწყდება ის გარემოება, რომ 3 წლის განმავლობაში საქართველოში ანტანტამ ის როლი ვერ შეასრულა, რაც გერმანელებმა და ინგლისელებმა ბათუმში, ან პორტუგალიელებმა ბრაზილიაში. 3 წლის განმავლობაში ევროპას სრულიადაც არ სცხელოდა საქართველოსათვის და თუ ხანგამოშვებით ჩვენი ისტორიული დეპეშები არღვევდნენ მის ყურადღებას არაფერი სანუგეშო პასუხი გვაძლიეს მილნის პროკლამაციების და კეკ კოლსის [illegible] მეტი. რევოლუციამ ის მრავალი ეპიზოდები, ათასი შესაძლოებანი, უამრავი შემთხვევები. პოლიტიკა ამ შემთხვევებით კი არ იქმნება, არამედ მთავარი, დამახასიათებელი ისტორიული მოვლენის მიხედვით.

თანამედროვე ანტანტა გარეგნულად ის არის, რაც იყო „სამღვთო კავშირი" მე-XIX საუკუნეში. მაშინ რეაქციის ბუდე მეტერნიხი იყო და მისი დედაქალაქი ვენა, ახლა რეაქციის ბუდე კლემანსო—ვივიანია და მისი დედაქალაქი პარიჟი—ვერსალი. ამათ შორის მხოლოდ ერთი მეტად დიდმნიშვნელოვანი განსხვავებაა: ვენის ძალა იყო რეაქცია, სადაც როლს თამაშობდა კასტლერი, ველინგტონი, ტალეირანი და [illegible], ესე იგი ისტორიული ძალა კერძო მესაკუთრეობისა, ნორჩი და ახალი მესვეური მზარდი კაპიტალიზმისა; ვერსალში დაიბუდა ბებერი კაპიტალიზმის ძალებმა, რომელსაც არავითარი მომავალი არ აქვს. ვენის „სამღვთო კავშირი" ისტორიული ძალა იყო, რომელმაც სახე მისცა თანამედროვე ევროპას და ყველა სახელმწიფო და ერი დაიმორჩილა ფაქტიურად და ფორმალურად. ვერსალი არ არის ისტორიული სამომავლო ძალა და ამ ტომ უკვე ვერ შეძლო ახალი ევროპის რუკის შედგენა. ვენის კავშირისათვის შეუძლებელი იყო ანგარიში არ გაეწია ზონდერბუნდის წინაპრების ან მაძინის მშობლების. მეტად უხეში, ტლანქი, ულამაზო იყო კავშირის დაჭერა ვენის ძალებთან, მაგრამ მაშინ ვენასთან მისვლელობა იგივე იქნებოდა, როგორც შავი ჭირით სნეულისათვის ექიმის მისვლელობა, მაგრამ რაკი ექიმი ყველასთან უნდა გამოცხადდეს თავისი ინსტრუმენტებით, ერის მესვეურებსაც მართებდათ ვენისათვის ანგარიშის გაწევა.

დღეს ვენის მსგავსად ანტანტა ვერა სწყვეტს მსოფლიოს საკითხებს, ვენაზე იყვნენ ყველა დიდი და პატარა ძალები, გენუა, დანია, სარდინია, შვეიცარია და სხ. რუსეთთან, ინგლისთან და ავსტრიასთან ერთად, ვერსალის კრება ნაწილაკია მთელის, აქ არ იყო უმეტესი ნაწილი ევროპისა, მის წინააღმდეგ აღმართული იყო რუსეთის ხმალი, რომელიც მთავარ როლს თამაშობდა ევროპაში მთელი საუკუნის განმავლობაში და რომელიც ასეთსავე როლს თამაშობს დღესაც. ესე იგი ანტანტას მთელი სიცოცხლე სულთმობრძავ მომაკვდავის სიცოცხლეა. მისი საქმე ავანტიურაა, მისი ნაბიჯი გაიძვერული და გაუბედავი. ვენის კონგრესის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ეკონომიური ბრწყინვალე პერიოდი ლიუდოვიკი მე XVIII—შემდეგ რენესანსი გერმანიაში, იტალიაში, ყველგან, დღეს კი ვერსალის შემდეგ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ დეკადანს, მხოლოდ რეგრესს, ძველი ტახტების არა რესტავრაციას, როგორც ეს ხდებოდა საფრანგეთში, იტალიაში, ნიდერლანდებში, არამედ საუკუნოდ დანგრეულ ტახტებს და დაუნგრეველ ტახტების სამეფოებში სისტემატიურ ტალღებს გადაცვლებისას, გაჭ[illegible]ყებებისას, რომელნიც თანდათან აგუბებენ რევოლუციურ ნიადაგს.

ვენის კონგრესი, როგორც ისტორიულად ვაჟკაცების კონგრესი უფრო ღირსეული იყო თავის სოციალურ მრისხანების დროს, ვიდრე თანამედროვე ვერსალი—ეს ისტორიულად ბებრების კრება. მომაკვდავი ადამიანი ანჩხლობს და ბუზღუნებს წარა-მარა,—ამის განსახიერებაა ვერსალი. ვენა რეაქციის საქმეს აკეთებდა პარიზში, მაგრამ თვით მეტერნიხი ეუბნებოდა გრაფ დ' არტუას—ერიდეთ ემიგრანტებსო, ხოლო ლორდი ველინგტონის მხარე მოითხოვდა—საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თვით საფრანგეთის ხალხმა მოითხოვოს ბურბონთა გვარიო. თანამედროვე ანტანტას ამ საბუთების ნიჭიც და უნარიც არა აქვს, იგი ახრჩობს ყოველ გამვლელ-გამომვლელს და ატყუებს ვისაც არ ახრჩობს. ნიკოლოზ პირველმა სულთანის წინააღმდეგ კატეგორიული ზომები იხმარა 1828 წელს 26 აპრილს ომი გამოაცხადა და 7 მაისს მისი ჯარი უკვე პრუტს გადასცილდა, ამ კომპანიამ ევროპას მოუტანა ოსმალეთის [illegible]-ადრიანოპოლის ზავი 1829 წ. 14 სექტემბერს. ასევე აქტიური იყო საფრანგეთი ისპანია-პორტუგალიაში, ავსტრია იტალიაში, გერმანია-სკანდინავიაში. დღეს კი ანტანტას მთელი პოლიტიკა დიდი მილიტარისტული დემონსტრაციებია კუროპატკინის სტრატეგიით შევსებული.

საქართველოში არიან ძალები, სამშობლოზე ლაპარაკობენ, კულტურაზე ოცნებობენ და ამ ანტანტას ეკედლებიან. იმას კი ვერ ხედავენ, რომ ანტანტა დღეს სხვების გაბრიყვებით ფიქრობს ფონს გასვლას, ატყუებს საწყალ ბერძნებს ომისათვის და ღუპავს მას, ატყუებს პოლონეთსაც და რუმინიასაც, როგორც დღემდე მოატყუა ჩეხები, სლოვაკები, უკრაინელები და სხ. ამ მიმართულებით ჩვენ ერთ დიდებით სიტყვას არ ვეტყვით ქართველ ხალხს, ეს იქნება ქართველი ხალხის უსარგებლო ავანტიურაში გახვევა, ეს იქნებოდა საქართველოს დაღუპვა და განადგურება.

მე-19-ტე საუკუნე უეჭველად ერთი კულტურული საუკუნეა, როდესაც მოხდა ჩამოყალიბება თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოების. როგორ იცავდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, რა ხდება სინამდვილეში, რას გვეუბნება ისტორია, როგორ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენც?

თედო ღლონტი.

## ეროვნული ენერგია რევოლუციაში

2.

ინგლისი ინდოეთში. ინდოეთი, რომელიც უჭირავს ინგლისს, თითქმის ევროპის მთელ სივრცეს უდრის, მცხოვრებთა რიცხვი აღის 400,000,000-მდე. ინდოეთი უკმაყოფილო იყო იმ თავითვე ინგლისის ხელისუფლების, რასაც შედეგად მოჰყვა ხელახალი მართველების დანიშვნა. 1857 წ. ინდოეთში უცხო ჯარის სიპაების აჯანყება დაიწყო, მაგრამ ინგლისის მიერ აჯანყება ჩაქრობილ იქმნა და კიდევ შეცვლილი იქმნა მართველები.

ინდოეთში უმაღლესი უფლება ეკუთვნის ინგლისის მიერ დანიშნულ ვიცე-კოროლს ანუ გენერალ-გუბერნატორს, რომელიც პირდაპირ ინგლისის მეფეს ემორჩილება. ინდოეთს ნაციონალი კონგრესის უფლებაც აქვს, მაგრამ კონგრესის დადგენილებანი არავისათვის სავალდებულო არ არის. 19 საუკ. უკანასკნელ წლებში და 20 დასაწყისში ინგლისის მიერ ვიცე-კოროლად დანიშნული იყო ლორდ კერზონი, რომელიც კარგად იცნობს აღმოსავლეთს. მისმა მართველობამ ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია და 1905 წ., როდესაც კერზონმა კანონი გამოსცა პროვინცია ბენგალის ორად გაყოფის შესახებ, ნაციონალურმა კონგრესმა მთელი რიგი რეზოლუციები მიიღო, რომლებშიაც პროტესტს აცხადებდნენ მართველობის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ ინდოელების დანიშვნას უმაღლეს ადგილებზედ. კონგრესის დეპუტაცია კერზონმა არ მიიღო, მღელვარება გამწვავდა, კერზონი იძულებული გახდა გადამდგარიყო და ინგლისში გაიქცა.

ამ წელს ინგლისის კაბინეტიც შეიცვალა. მთავრობას სათავეში ჩაუდგა კემპბელი ბანერმანი (ლიბერალი), ხოლო ინდოეთის სტატს სეკრეტარად ჯონ მორლი დაინიშნა. ინდოეთმა თავისი მხრით ავტონომია მოითხოვა, მაგრამ ასეთ დათმობაზე ინგლისი არ წავიდა, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია ინდოეთში, გაიმართა გრანდიოზული ხალხის მიტინგები ინგლისსა და ახალი ვიცე-კოროლის ლორდ მინტოს წინააღმდეგ საპროტესტოდ და მორლი იძულებული გახდა ინგლისის პარლამენტში თავის გასამართლებელი სიტყვა ეთქვა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მინტომ საშინელი ცენზურა შემოიღო ინდოეთში, მიტინგები აკრძალა და სხვა.

ინდოეთში ორმა მიმართულებამ იჩინა თავი: ნაციონალისტურმა და კონსტიტუციონალისტურმა. მათ შორის მეტად გაღრმავდა წინააღმდეგობა, რომელმაც თავისი უკიდურესი გამოხატულება ჰპოვა ნაციონალურ კონგრესზე 1907 წ., როდესაც ერთმანეთს დაერიენ დეპუტატები, მაგიდებით და სკამებით, გაიმართა ხელ-ჩართული ჩხუბი, რომელიც პოლიციამ დააშველა.

ეკონომიურად ინგლისის ცდა იყო, როგორც საერთოდ ყოველი მეტროპოლიის, თავის კოლონიაში ხელი შეეშალა წარმოებისათვის და „მის მაგივრად ნედლი მასალის გატანა გაემეფა"*) ინგლისმა აკრძალა ინდოეთში სხვა სახელმწიფოთა სავაჭროდ დაშვება, მაგრამ ეს მან განახორციელა ბოლომდე.

ასეთი იყო სქემატიურად კოლონიების და ინგლისის ურთიერთობა ამ 10 წ. წინად.

ჩვენ ვიცით, რომ ისპანეთი და პორტუგალია ინგლისზე უფრო ადრე შეუდგა კოლონიების ძებნას და კიდეც შეიძინა დიდი კოლონიები, მაგრამ მათი პოლიტიკა პირდაპირი და ტლანქი იყო და ინგლისის მოქნილმა პოლიტიკამ ისინი სავსებით დაამარცხა და თითონ შეიქნა იმ კოლონიების ბატონ-პატრონიც, რომელნიც ინგლისის გამოსვლამდე კოლონიალურ პოლიტიკაში მათ ხელში ითვლებოდა.

დღეს ინგლისის ხელშია დედამიწის 1 მეხუთედი, რომელთა შორის არის როგორც უმაღლესი კულტურის დონეზე მდგომი ხალხი, ისე ველურები.

ზოგი კოლონია, ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია (რომელიც არ შევიდა ავსტრალიის ფედერაციაში) ფაქტიურად სრული თავისუფლებით სარგებლობენ, მაგრამ ამავე დროს პატარა კოლონიები, როგორიც არის ცეილონი, სიერა ლეონე და სხვა ინგლისის გუბერნატორთა სამფლობელოს წარმოადგენს. გუბერნატორი კი ყოველივე ინსტრუქციებს ლონდონიდან ღებულობს და არავითარ ანგარიშს არ უწევს ადგილობრივი ხალხის მოთხოვნილებას.

ინგლისის პოლიტიკა თავიდანვე ლოიალური იყო კოლონიებისადმი (განსაკუთრებით ისეთ კოლონიებისადმი, რომლის ძალას წარმოადგენდა და შესაძლებელ საშიშროებას ქმნიდა,) მაგრამ მე-19 საუკ. ინგლისის პოლიტიკა კიდევ უფრო ლოიალური გახდა ამერიკის რევოლუციის წყალობით, რომელმაც დიდი გაკვეთილი მისცა ინგლისს.

შეგვიძლია ერთი დებულების მიღება, როდესაც ინგლისის კოლონიალ პოლი-

*) Микелян: „Экономическая политика финансоваго капитала". თავი V.

ტიკის ისტორიის გვითვალისწინებთ: ინგლისის კოლონიალური პოლიტიკის ლოიალობის ხარისხი პირდაპირ პროპორციულია კოლონიის ძლიერებაზე.

მე-19 საუკ. საერთოდ ახალი ერა იწყება კოლონიების ცხოვრებაში, რომელიც მეტროპოლიიდან ჩამოშორების პროცესით ხასიათდება. ჯერ კიდევ 1908 წ. პარვუსი სწერდა: ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი კოლონია ამერიკა დამოუკიდებელია; კანადა თუმცა ინგლისის კოლონიად ითვლება მაგრამ მისი ადმინისტრაციული კავშირი ინგლისთან ფორმალურია. ფაქტიურად კანადა დიდი ხანია დამოუკიდებელია პოლიტიკურად ისე ეკონომიურად. ასევე ითქმის ავსტრალიაზედ. ინგლისი იძულებული ხდება შეურ გდეს კაპის კოლონიის ფართო ავტონომიას. ასეთივე პროცესია დაწყებული აზიაშიც.

19 საუკ. დასაწყის ყველა პირობა მზად იყო ამერიკის განთავისუფლებისათვის: „როგორც ამერიკამ თავისი განვითარება ევროპიდან ჩამოშორებით დაიწყო ისე აზია-ევროპიდან განთავისუფლების პროცეს იწყებს და იგი მოიპოვებს პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას" *).

ამ რიგად კოლონიალ პოლიტიკის შედეგად მოყვა დაჩაგრული ერთა მოძრაობა და თუ წინეთ პროლეტარიატი იყო უმთავრესი ფაქტორი პოლიტიკური ცხოვრების და რევოლიუციის, დღეს უმთავრესი ფაქტორის როლს დაჩაგრული ერის მშრომელი მასა ქმნის და ეროვნული მომენტი უმთავრესი ძალა ხდება რევოლიუციის.

მეტროპოლიას ერთი მიზანი ქონდა კოლონიაში; ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაცია და ფაბრიკატის გასაღება. დღეს კოლონიები საკუთარი წარმოებით ქმნიან ბუნებრივ სიმდიდრეთა უტილიზაციას და საკუთარი წარმოების საშვალებით საჭირო აღარ ხდება მეტროპოლიის ფაბრიკატთა გასაღება.

მოყვანილი ცნობები საშუალებას გვაძლევს ვსთქვათ, დღევანდელი მეტროპოლიის ბატონობა ეკონომიურად ნულს უდრის.

დღეს დიდი სახელმწიფონი ისევ იძულებული ხდებიან განსაკუთრებით ყურადღებით მოეპყრან ნაციონალურ წარმოებას.

კულიშერს გენრიკის აზრი მოყავს რომ „შეძლებისდაგვარად უნდა ვკმაყოფილდებოდეთ იმ წარმოებით, რაც შესაძლებელია სახელმწიფოს საზღვრებში. ყოველ შემთხვევაში უცხოელებიდან მეტი არ უნდა ვყიდოთ, ვიდრე მათ ჩვენ წივყიდით, რადგან ეს იქნებოდა ჩვენი გაღარიბება და მათი გამდიდრება" **).

ლეროუა ბოლიე ამბობს, კოლონიებზე კი არ ბატონობდა ინგლისი, არამედ კოლონიები ბატონობს ინგლისზეო. ჩვენ შვილები ვართ იმ ისტორიულ პროცესის, როდესაც ერის უფლებები ქმნიან ძალას და ეროვნული ენერგია არის უმთავრესი ფაქტორი რევოლიუციის.

„დაჩაგრული ერი მთელი თავისი არსებობით რევოლიუციონური ელემენტია, ის სხვას კი არ ესხმის თავს, თავის არსებობას იცავს, ის აგრესიული კი არ არის, ნეიტრალურია. სხვის ენას კი არ შლის ან ზღუდავს, თავისას ემსახურება, სხვის მამულს კი არ ანგრევს—თავისას აშენებს... სადი ეროვნული მიმართულება რევოლიუციური ფაქტორია თანამედროვე მოძრაობაშიო",—ამბობს ამხ. თედო ღლონტი.

და დღეს, როდესაც ერის უფლება ყველასაგან ცნობილია და ერის მნიშვნელობა ყველასაგან აღიარებული, საქართველოს ეროვნული მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოვალეობაა რევოლიუციის მესვეურების, ხოლო ერის უფლება შეზღუდვა აშკარად კონტრ-რევოლიუციური მოქმედება.

ბოლშევიზმა ეროვნული საკითხის გარშემო რევიზია მოახდინა მარქსისტულ იდეოლოგიაში და ნათლად და გარკვევით უარყო ძველი გზა, რომელიც კოსმოპოლიტურ ფანტაზიებს ემყარებოდა ნაციონალური კლასობრივი მომენტის ღირებულება რევოლიუციის პროცესში ქვაკუთხედი გახდა ბოლშევიკთა ლიდერების აზროვნებაში. სამწუხაროდ ამავე საგნით ვერ ვხედავთ პრაქტიკაში და ხშირად მათი პრაქტიკა საკუთარი გზის გადახვევით მიემართება.

დაჩაგრულ ერთა ენერგია რევოლიუციის პროცესში ძლიერი ფაქტორის როლს ასრულებს და თანამედროვე რევოლიუციის უმთავრესი ძალაა.

მაგრამ როგორია თვის თავად რევოლიუციის პროცესი?

ხერ. ამაღლობელი.

*) იხ. Парвус стр. 128.

**) З. Кулишеръ: „Лекціи по исторіи Экономическаго быта" стр 446

# ახალი ამბები

— **გადასახლებულთა გაგზავნა.** უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ნავთლუღის სადგურიდან 50 ვაგონი გადასახლებულნი ტფილისიდან ჩრდილო კავკასიაში გაიგზავნა.

— **სამუშაო საათების დაწესება.** შრომის კომისარიატმა დაადგინა, რომ საბჭოთა ყველა დაწესებულებებში სამუშაო საათი უნდა გაგრძელდეს 9—3 მდე.

# უცხოეთი

**ლონდონი.** 1 სექ. „დეილი ჰერალდი" სწერს, რომ ევროპაში არის პროექტი ინგლისის და საფრანგეთის ოფიცერთა დემობილიზაციის, რომელნიც წითელი ჯვრის განკარგულებით გაიგზავნება რუსეთში, სადაც ისინი დახმარების სახის ქვეშ შექმნიან ორგანიზაციას საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ.

**რომი.** 9 სექ. „პ ესი" გვაცნობებს, რომ საფრანგეთი ენერგიულად ემზადება მომავალ კონფერენციისათვის, რომელიც ვაშინგტონში შესდგება. საფრანგეთი ამზადებს პროექტს განიარაღების შესახებ და თანახმაა განიარაღებას შეუდგეს განსაზღვრულ პირობებში. ეს პირობები წარმოდგენილი იქნება ვაშინგტონის კონფერენციაზე, რომელიც იქნება ბაზა საერთაშორისო განიარაღების საკითხის გარჩევისათვის.

**ნაუენი.** 9 სექ. ინგლისის ტანკების გასაუმჯობესებლად ტემზაში მოახდინეს ცდა. ტანკები თანაბრად იმოქმედებენ, როგორც ხმელეთზე ისე ზღვაზედ.

**ბუქარესტი.** 9 სექ. რამდენიმე დღის შემდეგ ვარშავაში დაიწყება რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკება. მოლაპარაკება დაჩქარებულია რუსეთის ნოტის გამო რუსეთისადმი.

**ბუქარესტი.** 9 სექ. 17 სექტემბერს ბუქარესტში შესდგება ყრილობა, რომელზედაც დაესწრება ყველა ერის წარმომადგენელნი, რომელნიც ცხოვრობენ რუმინეთში. ყრილობას აქვს განსაკუთრებით პოლიტიკური ხასიათი.

**ნაუენი.** 9 სექ. გერმანული პრესა არჩევს ბერძნების ცნობას ანგორის დაცემის შესახებ და აღნიშნავს, რომ ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს, მით უფრო, რომ ახალი ცნობა არის სტამბოლიდან, რომელიც აღნიშნავს, რომ ბერძნების პოზიციები დაშორებულია ანგორას 60—70 ვერსით.

**ნაუენი.** 9 სექ. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფალნი რეინში მოითხოვენ 24 მილ. მარკას კრედიტის სახით, საფრანგეთის საარტილერიო დეპოს აგებისათვის რეინის ქალაქში გოდსბერგში.

— ჰოლანდიელი მეცნიერი, დოქტორი ვან-რენი, თავის ლექციებში მოითხოვს, რეინის ოკუპაციური ადგილებიდან ჯარის გაყვანას. ლექტორის სიტყვით, ეს უნდა მოხდეს, რომ ჰუმანიტარობა და ცივილიზაცია იყოს დაცული.

**ლონდონი.** 9 სექ. რეიტერის სააგენტო გვაცნობებს, რომ სმირნიდან მოსული ცნობებით ბერძნებმა შეადგინეს გეგმა ანგორის ოკუპაციისა. ეს გეგმა სისრულეში მოდის.

**ნაუენი.** 9 სექ. ვენგრელი ინსურგენტები შეესია ავსტრიის საზღვრებს. მოხდა შეტაკება ავსტრიის მცხოვრებლებთან, რის შემდეგ ისინი იძულებული გახდენ უკან დაეხიათ. მოსაზღვრე მცხოვრებთა შორის პანიკაა.

**ნაუენი.** 8 სექ. კანცლერმა ვირტმა ლონდონის ბეჭვდითი სიტყვის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კონტრ-რევოლიუციონერთა ცდა გადატრიალებისა საბოლოოდ დამარცხდა გერმანელი ხალხის განწყობილებით რესპუბლიკისადმი. საშიშროება ახლა სრულიად აღარ არსებობს. როგორც მონარქისტებს, ისე ანარქისტებსაც არავითარი ნიადაგი არა აქვს. მიუხედავად ამისა გერმანეთის მთავრობა ზომებს იღებს რესპუბლიკის დასაცავად, როგორც მარცხნიდან ისე მარჯვნიდან. ამავე დროს მთავრობა სცდილობს, რომ მშვიდობიანი გზით გადაწყდეს ყოველივე გართულება განსაკუთრებული მწვავე განწყობილება ბავარიაში, მაგრამ მასთან უკვე დაიწყო მოლაპარაკება.

შემდეგ ვირტი აღნიშნავს, რომ გერმანეთის მდგომარეობა ცუდდება იმ რთული დაბრკოლებების გამო, რომელიც შექმნა ვალების გადახდამ. გერმანია მთელ თავის ძალებს იკრებს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

**ბერლინი.** 6 სექ. რუმინეთის მინისტრმა განაცხადა, რომ რუმინეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ნეიტრალურია. იგი ცდილობს კეთილმეზობლური განწყობილების დამყარებას რუსეთთან.

**ვენა.** 7 სექ. რუმინიაში ხდება რეგისტრაცია მობილიზაციის გამოცხადებისათვის.

**ბერლინი.** 7 სექ. ბავარიის მთავრობა, სადაც თავმოყრილია მონარქისტული რეაქცია, უარს აცხადებს საგანგებო წესების მოხსნაზე. საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით შეუძლებელია. მოსალოდნელია შეტაკება.

**ნაუენი.** 10 სექ. იტალიასა და პოლონეთს შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება 6 თვის ვადით.

**ნაუენი.** 12 სექ. გერმანეთის სტატისტიკა ამტკიცებს, რომ სავაჭრო ფლოტი გასულ წელს უფრო ნაკლები იყო, ვიდრე წელს არის. ამერიკის სავაჭრო ფლოტი 9 ჯერ არის გადიდებული.

# შალვა კარმელს

დაგვდევს სურვილი ყაჩაღ ლეკივით,
ფიქრი გვეხვევა როგორც ფათალო.
ჩვენი ოცნება ქალის ნეკივით
არის სათუთი და უბადალო.
ჩვენ ყველა გვიცნობს ნაზ პოეტებათ,
ვართ ამაყები რითმის მიგნებით.
როდესაც ჟანგი სულს მოედება
მაშინაც ალბათ ერთად ვიქნებით.
შვილის ნათლიას როცა მარკიზამ
გატკინა გული, ცრემლი დაღვარე —
ჩემმა ნუგეშმა გაგანარგიზა:
წმინდა მირონი ბევრს შევაყვარეთ.
ერთმანეთისთვის არ გვსურს ზიანი
(კეთილი გული გვაჩუქა ბუდამ)
და ბაბილინა თავაზიანი
ამის მოწამე იქნება მუდამ.

რაჟდენ გვეტაძე

## სიცივე და სიმშილი

ზამთარი ახლოვდება. შემოდგომა ჩვეულებრივ მოსავალს გვპირდება. რუსეთისაგან პურის მოლოდინი ცხადია აღარ შეიძლება. უცხოეთის იმედიც დიდი არ უნდა გვქონდეს. სიცივისა და სიმშილის აჩრდილი კი თან და თან ახლოვდება. ქალაქი ისევ სავსეა არა საჭირო ელემენტებით. დაწესებულებანი გაწმენდას მოითხოვს. ყოველივე ამას ეხლავე ესაჭიროება მოგვარება. წელს საქართველომ თავისი სურსათ-სანოვაგით უნდა იარსებოს. შესაძლებელია რაიმე შემოვიდეს, მაგრამ უმთავრესად კი საკუთარი რესურსების იმედი უნდა გვქონდეს. ჯერ არ არსებობს მტკიცე გარანტია იმისა, რომ აუცილებლად მივიღებთ რაიმეს უცხოეთიდან. მაშასამე დიდი ეკონომია საჭირო, დიდი მომჭირნეობის გამოჩენაა აუცილებელი, რომ სიმშილს თავი დავაღწიოთ. ამისათვის კი ქალაქისა და დაწესებულების გენერალური გაწმენდაა საჭირო. ქალაქის გაწმენდას უკვე შეუდგენ. დაწვრილებითი შედეგები ჯერ არ ვიცით. დაწესებულებათა შტატების შემოკლებაც დაწყებულია. ასე რომ ნაბიჯი უკვე გადადგმულია ამ მხრივ, მაგრამ დიდი სიფხიზლის და ენერგიის გამოჩენა გვმართებს, რომ ეს საქმე საბოლოოდ დაგვირგვინდეს. ტფილისში არ უნდა დარჩეს არც ერთი კაცი რომელიც რაიმე ღირებულების შემქნელი არ იქნება, არ უნდა დარჩეს ისეთიც, რომელსაც განსაზღვრული საქმე არ ექნება. დაწესებულებათა შტატი არა თუ შემცირებას მოითხოვს, არამედ განახევრებასაც საჭიროებს იგი. ერთი სიტყვით ჩვენ უნდა ვიცოდეთ რამდენი სარჩო გვაქვს ჩვენ ბეღელში და ამის მიხედვით უნდა ავიყვანოთ სარჩენი. დღეს საუბედუროთ სხვა გზა არ არსებობს. ფუფუნების და გართობის ფიქრიც აღარ შეიძლება. მთელი ფიქრი და ზრუნვა სიმშილისა და სიცივის აშორებისაკენ უნდა იქნეს მიმართული.

სიცივე ახალი რამ არ არის ტფილისისათვის. იგი ძველი ნაცნობი მტერია. გასულ წელსაც საუბედუროდ მაშინ შეუდექით სიცივის საწინააღმდეგო საშუალების, შეშის ძებნას, როცა სიცივისაგან კბილები აგვიკაწკაწდა. შუა ზამთარში ვიგრძენით, რომ შეშის მომარაგება საჭირო ყოფილა. გასულის წლის გაკვეთილი თვალწინ გვაქვს საჭიროა ამ მხრივ ეხლავე იქნეს ზომები მიღებული. მთელი ჩვენი ძალღონე უნდა ავამოძრაოდ მთელი სახელმწიფო აპარატი უნდა ამუშავდეს სიცივის საწინააღმდეგო საშვალებათა მოპოვებისათვის. სათბობი მასალა, აი უმთავრესი საზრუნავი პურს შემდეგ. აქეთკენ უნდა იყოს ჩვენი ყურადღება.

ამასთანავე არ უნდა გვავიწყდებოდეს თბილი ტანსაცმელისა და ფეხსაცმელების მომარაგება, რამდენათაც ეს შესაძლებელია. მუშა-მოსამსახურენი ამ მხრივ უნუგეშო სურათს წარმოადგენენ. თუ რამ მოეძოდათ ლუკმა-პურისათვის ბაზარზე იქნა გატანილი. სიშიშვლე დათმო მშიერმა ადამიანმა ზაფხულობით, მაგრამ ზამთარში ამის დათმობა აღარ შეიძლება. ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ცხოვრების ტრაგედია, მთელი ჩვენი უბედურება ორ სიტყვაში გამოიხატება—სიცივე და სიმშილი.

ამ გარემოებას ყველა ჯურის წინააღმდეგი თავის სასარგებლოდ იყენებს მხედველობაში, რომ არ მივიღოთ შინაური წვრილფეხა დემაგოგები, რომელთა პატარა სული და პატარა ტვინი ყოველ დაბრკოლებას ეღობება, ჩუმად ჩურჩულებს და ვითომდა თავის საქმეს, ან მისი აზრით, ქვეყნის საქმეს აკეთებს, ვერ დაივიწყებთ უფრო სერიოზულ ძალებს, ევროპის სახელმწიფოთა სახით, რომლებიც აქ ზამთარზედ დიდ იმედს ამყარებენ, რომ სამუდამოდ სისხლში ჩაახრჩონ სისხლით მოპოვებული უფლებანი.

ამიტომ, არა მარტო ცხოვრების კეთილდღეობა მოითხოვს სიმშილსა და სიცივის ფრონტზე ძალების დაგროვებას და დიდ ბრძოლას, არამედ რევოლიუციის გამარჯვება სავსებით დამყარებულია სიმშილისა და სიცივის აცდენაზე.

მუშათა კლასმა გაკვეთებული ნებისყოფით უნდა გამოსჭედოს ის საშვალებანი არსებობისა, რომელიც კი შესაძლებელია დღევანდელ პირობებში. დღეს მოღალატე მარტო ის კი არ არის, ვინც კონტრ-რევოლიუციურ გამოსვლებისთვის ემზადება, ვინც აშკარად საბოტაჟს აწარმოებს ან უცხო ძალის მოლოდინში სიხარულით ცახცახებს, არამედ დღეს ისიც უდიდესი მოღალატეა, ვინც თავის მოვალეობას პირნათლად ვერ ასრულებს, ვინც არ თესავს, როდესაც ამის შესაძლება აქვს, ვინც კანცელარიებში ტყვილა ზის და ცუღლუტობს, ვინც არ იძლევა ისეთ ნაყოფიერებას შრომის მხრივ, რაც მას შეუძლია და დასასრულ ისიც, ვინც ყოველივე ამას გულდაშვიდებით შეჰყურებს და მისი ფიქრი ღრუბლებს იქით მიილტვის მის ნაცვლად, რომ ცოდვილ დედამიწის უკულმართობაზე იფიქროს.

ამიტომ მთელი ძალების კონცენტრაცია, სახელმწიფოს მთელი აპარატის ამოძრავებაა საჭირო, რომ ზამთარმა არ გაგვტეხოს და სიმშილმა არ გვიმსხვერპლოს. ამაზე უფრო დიდი საზრუნავი დღეს არ უნდა [illegible]დეს.

ს.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

ხუთშაბათს 15 სექტემბერს, პარტიის ცენტრალ ბიუროში დანიშნულია კრება საქ. სოც.-ფედერ. სარევ. პარტიის [illegible] საქმის მუშა წევრებისა და მათი თანამგრძნობლებისა. გასარჩევია საშურაფო საკითხები. ამხანაგებს ევალებათ დაესწრონ კრებას უკლებლივ. კრება დაიწყება საღამოს 6 საათზე.

## მუშათა ცხოვრება.

### მუშათა სასადილოები.

მუშათა კლასი რომ დღეს მოკლებულია რიგიან და ნორმალურ ჭამა-სმას, ამ რეალურ ფაქტს გარდა ისეთი ადამიანისა, რომელზედაც ვერც რევოლიუციამ და ვერც კონტრ-რევოლიუციამ თავისი ზეგავლენა ვერ მოახდინა და ისევ ძველებურად ფუფუნებით ცხოვრებას განაგრძობს—ვერ უარჰყოფს. ვინ არ იცის ის ამბავი, რომ დიდიხანია მშრომელი ხალხისთვის სანატრელი და საოცნებო გახდა საზოგადოდ ნოყიერი საჭმელები და კერძოდ ხორციელი ჩვენს ბაზარზე ისე უხვად და მოჭარბებულად არც მენშევიკებისა და არც ნიკოლოზის დროს არა ყოფილა ხორცი, როგორც ეხლა. ადამიანმა რომ განკებ მოისურვოს გამხდარი, მჭლე ხორცის ყიდვა, ვერ იშოვის. მიუხედავად ამისა ჩვენი მუშათა სასადილოები ასეთ ხორცს მოკლებულია. როგორცა ვსთქვით ბაზარზე კი არ იშოვება დაბალი ღირსების ხორცი, მაგრამ თურმე მუშებისათვის ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა. დღევანდელ მუშათა სასადილოებში ხორცის საჭმელები დრო გამოშვებით მზადდება და ისიც ისეთი ხორცით, რომელიც არის მდარე და არავითარი ნაყოფიერება მას არა აქვს. ასეთ მოვლენას სისტემატიურად აქვს ალაგი სასადილოებში და ასეთ ფაქტს ისეთ დასკვნამდე მივყევართ, რომ იძულებული ვართ ვსთქვათ—აქ რაღაც ბოროტმოქმედებასთან გვაქვს საქმე.

ამ ბოლო დროს სასადილოებს წარმატების მაგიერ, უკან დახევა ეტყობა. ადუღებული წყალი ბევრ ალაგას მოსპეს, ჭურჭლებს მეტად საეჭვოდ რეცხავენ, ხშირად აღნიშნულ დროზე საჭმელები არ მზადდება, საკმარისი ინვენტარი არ მოიპოვება რის მეოხებითაც მუშებს უხდებათ რიგებში დგომა და სხვა. და ყველა ეს დეფექტები მას შემდეგ, როდესაც სასადილოებს წევრებზე მეტი თითქმის გამგე-მოსამსახურეები ჰყავს. ამავე დროს სახეში მისაღებია ის გარემოება, რომ სასადილოს გამგეებად და მოსამსახურეებად არიან სრულიად ახალგაზრდა და ჯან ღონით სავსე მუშა-ხელოსნები და ესეც იმ დროს, როდესაც ქარხნებში მოხუცებული ინვალიდი მუშები სათვალეებით მუშაობენ, საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს პროფკავშირთა საბჭოსაგან და აგრეთვე დაკანონებულ იქნეს ის წესიც, რომ სასადილოს გამგეები, მოანგარიშეები, არტელშჩიკები და სხვები, ინიშნებოდნენ განსაზღვრული დროით და იცვლებოდნენ სხვებით, რის შემდეგაც დარწმუნებული ვართ ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, ქურდობას და, მრავალ პრეტენზიებს ალაგი ნაკლები, ან სულ აღარ ექნება.

სასადილოს წევრი დ. მ—ლი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია, გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

მათემატიკის მასწავლებელი
**ივ. მარ. მაჩაიძე**
(ყოფ. გიმნაზიის დამთავრებ. და გამგე)
**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი საზაფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვადა ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1284



სტამბა „სახალხო საქმე" [illegible]
ნ. დ. ს. ც.